

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო  
საბიუჯეტო კომისიის სხდომის  
ოქმი №105

16 თებერვალი 2021 წ.

ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

სხდომა ჩატარდა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიასთან ერთად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - დავით უთმელიძე.

კომისიის წევრები: ოთარ გრიგოლია, ლევან დავითაშვილი, ლევან ჟორჟოლიანი, ლევან დარახველიძე, ვახტანგ მაქარიშვილი, ვაჟა ოთარაშვილი, ბორია ფირცხელიანი.

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საფინანსო საქალაქო სამსახურიდან- ლევან მიქავა.

სსიპ ქონების მართვის სააგენტოდან- ირაკლი თავართქილაძე, მარიამ კვერნაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა დავით უთმელიძე.

**დღის წესრიგი:**

1.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ

(№11-01210433354 12.02.2021წ; საკრ№15-032043113-03)

2.„ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.01.008.045) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატისისათვის“ (ს/კ: 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“ ( №12-032103574-03)

3.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ბექარ ურუშაძეს (პ/ნ: 01010014276) შორის 2020 წლის 18 აგვისტოს გაფორმებულ პირობებით გამოცხადებული აუქციონის Nე-532-9-25327 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით რიგი დონისძიებების განხორციელების თაობაზე.(№12-032042109-03)

4. „ქალაქ თბილისში, რკინიგზის ცენტრალური ვაგზლის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.125) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“. (№12-032103958-03)

5. „ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა №6ბ-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.05.029.073.01.561) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე (№12-032103958-03)

6. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა №16-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.05.029.144.01.515) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. (12-032103958-03)

7. „ქალაქ თბილისში, ზაპესის დასახლებაში, ავჭალის შესახვევი N3-ში (საკადასტრო კოდი: N72.12.01.765.04.500 და N72.12.01.765.05.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “ (№11-03204360-03)

დღის წესრიგი დამტკიცდა.

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ. (№11-01210433354 12.02.2021წ; საკრ№15-032043113-03)

### **მომხსენებელი-ლევან მიქავა.**

ლევან მიქავას მოხსენებით, გლდანის რაიონის გამგეობას „გზების მოვლა-შეკეთების“ პროგრამაში, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების დასაფინანსებლად, პირველ კვარტალში ემატება 550 000 ლარი, ხოლო „კეთილმოწყობის ღონისძიებების“ პროგრამაში 210 000 ლარი. თანხების გადმოტანა ხდება მესამე და მეოთხე კვარტლებიდან.

ჩუღურეთის რაიონის გამგეობა ითხოვს, მიმდინარე შეკეთების სამუშაოების დასაფინანსებლად პირველ კვარტალში 95000 ლარის დამატებას.

კახეთის გზატკეცილისა და ევროპის ქუჩის შუა ზოლის გამწვანების ზოლის აღსადგენად, გამწვანების საქალაქო სამსახურს, პირველი კვარტალში ემატება 308253 ლარი. თანხების გადმოტანა ხდება მეოთხე კვარტლიდან.

ასევე იზრდება სარეზერვო ფონდის პირველი კვარტლის გეგმა 600 000 ლარით. თანხის გადმოტანა ხდება მომდევნო კვარტლებიდან.

გარდა ამისა, მუხლობივი ცვლილება ხდება მერიის ადმინისტრაციის ასიგნებებში. პირველ კვარტალში „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან, 260 000 ლარის გადატანა ხდება „არაფინანსური აქტივების“ მუხლში, რაც ესაჭიროებათ კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

### **მომხრე-8**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანისა და ჩუღურეთის რაიონის გამგეობები ასევე გამწვანების საქალაქო სამსახური და მერიის ადმინისტრაცია ითხოვენ მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა **გადაწყვიტეს:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტების შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.

**მოისმინეს:** „ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.01.008.045) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოსატყვამი გამარჯვებული შპს „ჰორვატისსათვის“ (ს/კ: 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“

**მომხსენებელი- ირაკლი თავართქილაძე.**

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის ([www.tbilisi.gov.ge](http://www.tbilisi.gov.ge)) საშუალებით 2019 წლის 2 სექტემბრიდან 2019 წლის 27 სექტემბრის ჩათვლით გამოცხადდა ინტერესთა გამოსატყვა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ინტერესთა გამოსატყვამი გამარჯვებული პირის მიერ ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ N01.14.01.008.045 (28 273 კვ.მ ფართობის) საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა (მოთხოვნილი განაშენიანების მინიმალური ფართობი კ2=არაუმეტეს 3.0-ის გათვალისწინებით - 10 000 კვ.მ.) და აშენებულ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატივის წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ .

ინტერესთა გამოსატყვის ფარგლებში, უპირატესი წინადადება - კოოპერატივის წევრებისთვის გადასაცემი ფართი 18 000 კვ. მ-ის ოდენობით - წარმოდგენილი იყო შპს „ლაქმერ ესტეიტ ჰოლდინგის“ (ს/ნ: 400253079) მიერ. მას სრულად ჰქონდა წარმოდგენილი ინტერესთა გამოსატყვით გათვალისწინებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია, მათ შორის, უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია **1 000 000 ლარის ოდენობით.**

შპს „ლაქმერ ესტეიტ ჰოლდინგის“ და შპს „ჰორვატისს“ წარმომადგენლებმა განცხადებით მიმართეს სააგენტოს, რომლის თანახმად, შპს „ლაქმერი ესტეიტ ჰოლდინგმა“ მოითხოვა ინტერესთა გამოსატყვამი მისი პარტნიორი კომპანიის, შპს „ჰორვატისს“ გამარჯვებულად გამოცხადება. მათ ასევე წარმოადგინეს ინფორმაცია, აღნიშნული კომპანიის მიერ განხორციელებული სამშენებლო პროექტების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კოოპერატივის წევრების სიის ფორმირება განხორციელდა როგორც ტერიტორიულობის პრინციპის, ასევე, დაბალი სარეიტინგო ქულების გათვალისწინებით. კერძოდ, აღნიშნული სია პირობითად დაიყო 3 ნაწილად: 1) ყოფილი N645 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის („**N645 კოოპერატივი**“) წევრები, რომელთაც კოოპერატიული ბინა უნდა აშენებოდათ ინტერესთა გამოსატყვით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის ნაწილსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე; 2) ყოფილი N606 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის ( „**N606 კოოპერატივი**“) წევრები, რომელთაც კოოპერატიული ბინა უნდა აშენებოდათ ინტერესთა გამოსატყვით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთთან, სხვა კოოპერატივებთან შედარებით, ყველაზე ახლოს მდებარე ტერიტორიაზე და რომელთა სარეიტინგო ქულა განსაზღვრულია 200 000-მდე; 3) სხვადასხვა კოოპერატივის წევრები, რომელთაც კოოპერატიული ბინა უნდა აშენებოდათ საბურთალოს რაიონში და რომელთაც, სიის ფორმირების ეტაპისათვის, სააგენტოში წარდგენილი ჰქონდათ ყველაზე დაბალი სარეიტინგო ქულის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის გადაცემული დოკუმენტაციის თანახმად, N645 კოოპერატივის საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად მიწის ნაკვეთი გამოყოფილი ჰქონდა მინდელის ქუჩაზე. მითითებული დოკუმენტაციის მიხედვით, მათთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის ზუსტი ადგილმდებარეობა არ დგინდება, თუმცა, აღნიშნული კოოპერატივის წევრების მიერ, საჯარო რეესტრში წარდგენილი 2010 წლის 28 სექტემბრის აზომვითი ნახაზის თანახმად, ინტერესთა გამოსატივით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთი ნაწილობრივ მოიცავს N645 კოოპერატივისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთს. შესაბამისად, ტერიტორიულობის პრინციპის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული წარმოდგენილ პროექტში N645 კოოპერატივის წევრთა დაკმაყოფილება სრულად.

რაც შეეხება N606 კოოპერატივის წევრთა დაკმაყოფილების პრინციპს, უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ კოოპერატივის მიწის ნაკვეთი გამოყოფილი ჰქონდა ბაგებში - იმავე რაიონში, სადაც მდებარეობს ინტერესთა გამოსატივით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთი. შესაბამისად, ამ შემთხვევაში, ტერიტორიულობის პრინციპთან ერთად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, სარეიტინგო ქულების გამოყენებაც. კერძოდ, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს N606 კოოპერატივის იმ წევრთა დაკმაყოფილებას, რომელთაც ამ განკარგულების დანართი N1-ით გათვალისწინებული სიის ფორმირების ეტაპზე, სააგენტოში წარდგენილი ჰქონდათ სრულყოფილი დოკუმენტაცია და მათი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000-ს.

გარდა ამისა, კოოპერატიული ბინათმშენებლობიდან გამომდინარე სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის მიზნით უძრავი ქონების მათთვის გადაცემის მოთხოვნით, N645 კოოპერატივის წევრთა ნაწილს (5 პირი ) სააგენტოსთვის არ მიუმართავს. ვინაიდან, მათ წინაშე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახელმწიფო საშინაო ვალის არსებობის ფაქტი აღიარებულია, წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში, აღნიშნული პირების მიერ მისაღები საცხოვრებელი ფართის ოდენობას - 457.17 კვ.მ-ს, საკუთრებაში მიიღებს სააგენტო. სააგენტოს მიზანია, სამშენებლო პროექტის დასრულებამდე მოახდინოს მითითებულ პირთა იდენტიფიცირება და მათი იდენტიფიცირების შემთხვევაში, მათ კუთვნილი ფართი გადაეცეთ სააგენტოს მიერ.

მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, სააგენტოს საკუთრებაში უნდა გადაეცეს, ასევე, 526,48 კვ.მ საცხოვრებელი ფართი (თეთრი კარკასის მდგომარეობით). N645 კოოპერატივის 5 წევრის მიერ, ამ განკარგულების მომზადების დროისათვის, სააგენტოში არ არის წარმოდგენილი სრულყოფილი დოკუმენტაცია, მათ შორის, სამკვიდრო მოწმობები. სააგენტოში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში მათთვის შესაბამის საცხოვრებელ ფართზე საკუთრების უფლების გადაცემას უზრუნველყოფს სააგენტო. გარდა ამისა, განკარგულების მომზადების პროცესში, N645 კოოპერატივის წევრთაგან სააგენტოში წარდგენილ იქნა საქართველოს უზენაესის სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება რის თანახმადაც, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრების სარჩელი. მოსარჩელეთა მოთხოვნა შეეხებოდა თბილისში, სანდრო ეულის ქუჩა N7-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა და მასზე მდებარე დაუმთავრებელ კარკასულ შენობა-ნაგებობას.

როგორც ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კომპანიის მიერ სააგენტოს საკუთრებაში უნდა გადაეცეს 1088.99 კვ.მ საცხოვრებელი ფართი (თეთრი კარკასის მდგომარეობით) შესაბამის მიწის ნაკვეთის წილთან ერთად. მიწის ნაკვეთის წილი ჯამურად შეადგენს 1711.497 კვ.მ-ს.

გარდა ამისა, ამ განკარგულების დანართი N1-ის 145-147 პუნქტებით გათვალისწინებული პირები: მაია ნაცვლიძე, ციალა აბაშიძე და ნატალია ციციშვილი წარმოადგენენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 25 იანვრის N04.19.76 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის N47 განკარგულებების ადრესატებს, რომლის საფუძველზეც, ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, ე.წ. მხატვრების დასახლების მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 6738 კვ. მ (ნაკვეთი 02/028) (საკადასტრო კოდი: N01.14.02.002.028) და 6276 კვ.მ (ნაკვეთი 02/027) (N01.14.02.002.027) მიწის ნაკვეთები პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცათ ყოფილი კოოპერატივების წევრებს.

მიუხედავად ამისა, აღნიშნულმა პირებმა ვერ მოახდინეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 25 იანვრის N04.19.76 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის N47 განკარგულებებით მინიჭებული უფლების რეალიზაცია და 2017 წლიდან დღემდე ფაქტობრივად ვერ დაუფლნენ გადაცემულ მიწის ნაკვეთებს, ვინაიდან ამ მიწის ნაკვეთების უფლებრივი

ქდგომარეობის შესახებ დავა მიმდინარეობს სასამართლოში. მაგრამ ისინი თანახმა არიან მითითებული განკარგულებებით გადაცემულ ფართებზე უარის თქმის სანაცვლოდ, დაკმაყოფილდნენ ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ (ს/კ: 01.14.01.008.045) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 28 273 კვ. მ. მიწის ნაკვეთიდან შესაბამისი წილის მიღებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამ განკარგულების დანართი N1-ის 145-147 პუნქტებით განსაზღვრული პირების მიმართ ამ განკარგულების გამოცემა წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 25 იანვრის N04.19.76 განკარგულების მათ ნაწილში ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველს, მითითებული განკარგულების გამოცემის დღიდან.

საკითხის განხილვა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

### **მომხრე- 8**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ბექარ ურუშაძეს (პ/ნ: 01010014276) შორის 2020 წლის 18 აგვისტოს გაფორმებულ პირობებით გამოცხადებული აუქციონის Nე-532-9-25327 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე.

### **მომხსენებელი- ირაკლი თავართქილაძე.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს სააგენტოსა და ბექარ ურუშაძეს შორის 2020 წლის 18 აგვისტოს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის Nე-532-9-25327 ხელშეკრულების საფუძველზე, ბექარ ურუშაძეს საკუთრებაში გადაეცა ქ.თბილისში, ჯიქიას ქუჩა N9-ის მიმდებარედ არსებული 1,082 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.14.05.005.121)

აუქციონის შესაბამისად, შეძენილი უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა 627,912 ლარი. მყიდველის მიერ. აღნიშნული ფინანსური ვალდებულა შესრულებულია რაც დასტურდება სააგენტოს მიერ გაცემული საკუთრების მოწმობით.

ამასთან, უძრავი ქონება გასხვისდა ხე-ნარგავების შენარჩუნების პირობით, რომელიც ასევე აისახა ხელშეკრულების „ბ“ პუნქტში შემდეგი ჩანაწერით: „ხე-ნარგავების შენარჩუნება“.

მყიდველმა განცხადებებით მიმართა სააგენტოს და მოითხოვა შეზღუდვის ცვლილება და მისი შემდეგი რედაქციით განსაზღვრა - "ხე ნარგავების შენარჩუნების პირობით, ხე ნარგავების იმავე საკადასტრო კოდზე გადარგვის უფლებით".

ირაკლი თავართქილაძის თქმით გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წერილის თანახმად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გასცეს 19 ძირიდან, 17 ძირი მცენარის გადარგვის ნებართვა (ქ. თბილისი, ჯიქიას ქუჩა N9 მიმდებარედ; ს.კ.: 01.14.05.005.121) იმავე საკადასტრო ერთეულში, მას შემდეგ, რაც დაინტერესებული პირი სამსახურში წარადგენს სათანადო წესით გაცემულ მშენებლობის ნებართვას.

ასევე, სააგენტოსთვის ცნობილია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ბრძანების მიხედვით დამტკიცებულია N01.14.05.005.121 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტიზის ბიუროს წერილის შესაბამისად, დადგენილია, რომ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი: 01.14.05.005.121) ხე-ნარგავების გადარგვის უფლების მინიჭება არ ცვლის აუქციონზე დაფიქსირებულ საბაზრო ღირებულებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია ბექარ ურუშაძის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი:

01.14.05.005.121) არსებული პირობის - „ხე ნარგავების შენარჩუნება“, „ხე-ნარგავების შენარჩუნების პირობით, ხე-ნარგავების იმავე საკადასტრო ერთეულზე გადარგვის უფლებით“ შეცვლა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

**მომხრე-8**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**

**მოისმინეს:** „ქალაქ თბილისში, რკინიგზის ცენტრალური ვაგზლის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.125) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

**მომხსენებელი- ირაკლი თავართქილაძე.**

ქალაქ თბილისში, რკინიგზის ცენტრალური ვაგზლის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.125) მდებარე უძრავი ქონება პირდაპირი განკარგვის წესით გადაეცემა 41 ოჯახს- ჯამში 1508,54კვმ. ეს ოჯახები ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ფლობენ ამ ფართებს.

**მომხრე-8 .**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**

**მოისმინეს:** “ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N6ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.073.01.561) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

**მომხსენებელი- ირაკლი თავართქილაძე.**

ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N6ბ-ში, პირველ სართულზე მდებარე 48.84 კვ.მ ფართი და 50.72 კვ.მ ანტირესოლი (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.073.01.561) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზებით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე კახა კოპალიანს .

საჯარო რეესტრის ამონაწერით, მას უფლების რეგისტრაცია თბილისში, სხვა უძრავ ქონებაზე არ უფიქსირდება. მოქალაქე დიდი ხნის განმავლობაში ფლობს აღნიშნულ ფართს.

**მომხრე-8 .**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**

**მოისმინეს:** “ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.144.01.515) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

**მომხსენებელი- ირაკლი თავართქილაძე.**

ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.144.01.515) მდებარე 60,88 კვმ უძრავი ქონება პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ეკატერინე შარიას, რომელიც 2008 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ ფართში. საჯარო რეესტრის ამონაწერით, მას უფლების რეგისტრაცია თბილისში, სხვა უძრავ ქონებაზე არ უფიქსირდება.

**მომხრე-8 .**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**

**მოისმინეს:**“ქალაქ თბილისში, ზაპესის დასახლებაში, ავჭალის შესახვევი N3-ში (საკადასტრო კოდი: N72.12.01.765.04.500 და N72.12.01.765.05.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “

**მომხსენებელი- ირაკლი თავართქილაძე.**

ქალაქ თბილისში, ზაპესის დასახლებაში, ავჭალის შესახვევი N3-ში, პირველ სართულზე მდებარე 20.83 კვ.მ ფართი და 2.55 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N72.12.01.765.04.500 და N72.12.01.765.05.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზებით,საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე შორენა შუბითიძეს. შორენა შუბითიძის ოჯახი აღნიშნულ ფართს ფლობს 2012 წლიდან. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, არც მას და არც მისი ოჯახის წევრებს, საკუთრების უფლების რეგისტრაცია თბილისში სხვა უძრავ ქონებაზე არ უფიქსირდება.

**მომხრე-8 .**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა**

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო**

**კომისიის თავმჯდომარე**



**დავით უთმელიძე.**